ეკლესია



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 8 | 1883—1894 | 30 აპრილს.

ქრისტე აღსდგა!

ქრისტეს აღდგომისა გამო.

(საუბარი ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსის ინოკენტისა).

წმ. ამბროსი მედიოლანელი, როცა საუბარს იწყებს ქრისტეს დაბადების შესახებ, ამბობს, რომ ამ დროიდგან დღე თან-და-თან მატულობს და მასთან ერთად ძლიერდება სულიერი ნათელი, რომელმაც ამოაშუქა ბეთლემიდამ და თავისი ძლიერი სხივები მოჰფინა მთელ დედამიწასო. ჩვენც, ჩვენის მხრით, ძმანო, დაჭეშმარიტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტეს აღდგომის დრო არის ის ხანა წლი-

სა, როცა მთელი ბუნება ახლდება და იღვიძებს ზამთრის სიცივისაგან. როცა „ტაძრის ფანჯრიდამ“ შესცქერი გაზაფხულს, უნებლიეთ ხედავ მასში მომასწავებელ ნიშანს, რომლითაც ბუნება ეოველ წლობით ეგებება ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს—მაცხოვარს. ქრისტეს ჯვარცმა და ვნება მოხდა გოლგოთაზე ერთხელ, ვინაიდგან მაცხოვარი მხოლოდ ერთგზის მოკვდა; ხოლო სასიხარულო შედეგნი ქრისტეს აღდგომისა ეოველთვის მეორდებიან, ვინაიდგან ქრისტე, რომელიც აღსდგა მკვდრეთით, აღარა მოკვდეს (რომულ. 6, 8). მაცხოვარს შეეძლო მომკვდარიეო და აღმდგარიეო წლის სხვა რომელიმე დროსაც; მაგრამ აღსდგა, სახელდობ. მაშინ, როცა მთელს ბუნებას შეუძლია მიეგებოს მას (მაცხოვარს) თავისი განახლებულის სახით.

დიაღ, მართლაც, ვისი მიგებება უფრო შეჭფერის ბუნებას თავისი განახლებული სახით?—თუ ბუნებაში მისი მეფის—ჯოჯოხეთის დათრგუნვის შემდეგ კიდევ დარჩა რაიმე წესი, თუ ზამთარს ეოველთვის თან მოსდევს გაზაფხული, ეოველივე ამაებს ანიჭებს ბუნებას მხოლოდ ის, რომელიც არის ცხოვრების მომნიჭებელი, მეორე ადამი, რომელმაც, გადაწევიტა რა აღეხოცა ცოდვები პირველი ადამისა, მაშინვე, მისი შეცოდების შემდეგ, აღიღო ხელში ის კვერთხი მთავროებისა, რომლის აღება აღარ შეეძლო ჩვენს უბედურს მამათ-მთავარს. აგრეთვე, თუ ბუნება შემდგომ მრავალი მოკლე დროებითი განახლებისა, გაზაფხულის და ზაფხულის მეოხებით, ოდესმე ისილავს თავის თავზე გაზაფხულს, რომელიც ეოველთვის თავის დროზე იწეება, შეიმოსება ხოლმე ედემის მშვენიერებით, ეოველივე ამას ახდენს მასსში არა სხვა რაიმე ძალა, არამედ ის, რომ უფალმა თავისი სისხლით ჯვარიდგან განსწმინდა მთელი დედამიწა და ბუნების ეოველივე არსებას მიანიჭა ძალა განახლებისა და უკვდაებისა. და ამიტომაც ბუნება ვალდებულია უმეტესად მიეგებოს თავისი აღდგომით მაცხოვარს, რომელმაც თავისთან ერთად აღადგინა ეოველივე, როგორც გალობს წმიდა ეკკლესია. ბუნების აღდგომისა და ქრისტეს აღდგომის შორის არის კავშირი არა მარტო დროით, არამედ საქმითაც. ბუნება ახლდება ეხლა დროებით, ვინაიდგან აღსდგა დღეს მისი აღმდგენელი—მაცხოვარი, და ამის გამო იგი აღსდგება ოდესმე საუკუნოდ.

ასეთი დამოკიდებულება გაზაფხულსა და ჩვენს დღესასწაულობასა შორის აორკეცებს, მმანო, ამ დღესასწაულის სიხარულს და გაზაფხულის სიმშვენიერესაც. ადგომა უფლისა უფრო სასიხარულო ხდება ჩვენთვის, როცა თვალწინ ვიდგენთ, რომ ქრისტეს ადგომას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კაცთა ნათესავისათვის, არამედ ქრისტეს აღდგომის ძლიერება ვრცელდება მთელს ბუნებაზედაც. გაზაფხულს ენიჭება რაღაცა საღმრთო სახე, აქედგან ცხადია, რომ ბუნების განახლება წარმოსდგება იმავე არსებისაგან, რომლისაგანაც წარმოსდგა ჩვენი სულიერი განახლება; ცხადათ ვხედავთ, რომ ბუნების განახლებაც არის ნაეოფი გოლგოთის გამოხსნისა. ამის შემდეგ ეველასათვის ცხადი უნდა იეოს, როდესაც ეკკლესია გალობს, რომ

ქრისტეს აღდგომით გახარებულია „ცა და ქვეყანა და უფსკრული.“ ჭეშმარიტად რომ აღდგომა ქრისტესი მსოფლიო დღესასწაულია, ვინაიდგან გოლგოთაზე, მოციქულის სიტყვისაებრ, მოხდა შერიგება ღმერთსა და ქვეყანასა შორის.

მაგრამ, ძმანო, ეს მსოფლიო მშვიდობა აგვშორდება ჩვენ, თუ არ ვეცდებით, რომ ეს მშვიდობა დავიმკვიდროთ ჩვენს გულში! ჩვენს გარშემო ეოველივე ახლდება და ჩვენ კი ისეთნივე დავრჩებით, როგორებიც ვიყავით, თუ არ ვეცდებით, რომ განვახლდეთ. აბა, შეხედეთ ბუნებას: დადგა გაზაფხული მთელი დედამიწისათვის, ეოველივე ჰყვავის და მშვენიერდება, ხოლო გამხმარი ხეები ესლაც შიშველნი და საზარელი სანახავები არიან და თავისი სახით აუშნოებენ ბუნების სიმშვენიერეს. ასეთივე არიან ცოდვილთა სულნიც: ეგინი, გამხმარ ხეების მზგავსად, მაშინაც მკვდარნი იქნებიან, როცა კი ეოველივე განახლდება. ამიტომაც ედემში ეოველივე ღვთის სასიამოვნოდ უნდა იყვეს მორთული, წინაღმდეგ შემთხვევაში ცოდვილებს ისე მოეპყრობიან, როგორც ეპყრობიან მებაღეები გამხმარ ხეებს, ესე იგი მათ მოსჭრიან და დასწვენ ცეცხლში.

ამიტომ საჭიროა, ძმებო, რომ წინ-დაწინვე უსათუოდ განვახლდეთ, ვსვათ სასმელი ცხოვრებისა, აღვივსოთ ღვთის მადლით, ვიწყოთ კეთილი ნაეოფის მოტანა; საჭიროა აქვე აღვსდგეთ, რომ იქ არ მოვკვდეთ საუკუნო სიკვდილით!

ზოგიერთი საერო ეურნალ-გაზეთების უნებლიეთ მცდომათა გამო.

დიდი ხანი არ არის, რაც საერო ეურნალ-გაზეთებმა ერთი კეთილი საქცელი შემოიღეს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეველა ეს ეურნალ-გაზეთები ამ ბოლო ხანს, საეკლესიო დიდი დღესასწაულების გამო თავიანთ მკითხველებს მოუთხრობენ ხოლმე ამ დღესასწაულთა ისტორიას, მათ მნიშვნელობას და დოღმატიურ სწავლა-მოძღვრებას. ეს საქციელი სწორედ რომ კეთილი და პატიოსანია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სადღესასწაულო მოთხრობათა ავტორები ხშირად ისეთ შეცდომაში ვარდებიან, როგორი შეცდომაც მოუვიდა ერთ გრაფინიას. ამ გრაფინიამ ერთ ოჯახში ქეიფობისა და დროს გატარების დროს ყურადღება მიაქცია ერთ უმაწვილ კაცს, რომელმაც ეს გრაფინია მოხიბლა თავისი მშვენიერი თამაშობით, ოხუნჯობით და სიმღერით. ეს ახალგაზდა კაცი იყო სემინარიაში კურს დამთავრებული, მაგრამ მღვდლად კურთხევაზე უარს ეუბნებოდენ. როცა გრაფინიამ შეიტყო ამ უმაწვილის ვინაობა, ძლიერ შეებრალა იგი და მოინდომა, რომ მისთვის შუამდგომლობა გაეწია მღვდელ-მთავრის წინაშე. გრაფინიას ბევრი არ დაუგვიანებია, იგი ეტლით მიბრძანდა მღვდელ-მთავართან.

— რაზე მობრძანებულხართ, ბ. გრაფინიავ, ჰკითხა მღვდელ-მთავარმა.

— ერთი თხოვნა მაქვს, მეუფეო, და სრული იმედი მაქვს, ამ თხოვნას შეიწყნარებთ და კიდეც აღმისრულებთ, მოახსენა გრაფინიამ.

— რა თხოვნა გაქვსთ? ჰკითხა მღვდელ-მთავარმა.



ქრისტე აღსდგა!

აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოსნი უოაღადებენ ცათა შინა და ჩვენცა ქვეყანასა ზედა ღირს მყვენ წმიდითა გულითა დიდებად შენდა.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკეთილითა სიკეთილისა დამთრგუნველი და სიფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი.

აღსდეგან ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი, და იელტოდენ მოძულენი მისნი, პირისგან მისსა.

მითარცა მოაკლდენ კვამლსა, მოაკლდენ და ვითარცა ცვილი რა დადნის წინაშე ცეცხლსა.

მსრეთ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან ღმერთისა და მართალნი იხარებდენ.

მსე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა.

— თქვენ ეპარქიაში, მოახსენა გრაფინამ, არის ერთი სემინარიელი, რომელსაც, კაი ხანია, რაც სწავლა დაუმთავრებია სემინარიაში, მაგრამ მღვდლობის მიღებას კი ვერ ღირსებია.

— თქვენ საიდამ იცნობთ ამ სემენარიელს? ჰკითხა მღვდელ-მთავარმა გრაფინიას.

— ამ:ს წინეთ, მოახსენა გრაფინიამ მღვდელ-მთავარს, მე მიპატიჟებული ვიყავი ერთ ოჯახში ვახშამზე. ამ ვახშამზე ის სემინარიელიც იყო. მან თავისი თამაშობით, ოხუნჯობით და სიმღერით ყველა იქ დამსწრე პირთა ყურადღება მიიზიდა. მან სიცილით დაგვხოცა თავისი მოსწრებული ოხუნჯობით და თამაშობის დროს მშვენივრად ასრულებდა «დერიჟორის» მოვალეობას. ამ სემინარიელმა თავისი საქციელით, თითქმის, ყველა მანდილოსნები მოხიბლა. ბრალია, თქვენო მეუფებავ, რომ ამისთანა ნიჭიერ კაცს მღვდლობის ადგილი ვერ უშოვია და უკიდურეს სიღარიბეშია. იმედი მაქვს, ჩემს შუამდგომლობას პატივსა სცემთ.

ჰმ, დაფიქრდა მღვდელ-მთავარი ბ ბოლოს უპასუხა გრაფინიას: კარგი, თქვენი თხოვნა იქნება აღსრულებული...

გრაფინია სრული დაიმედებული შინ წაბრძანდა. მეორე კვირას ადგილობით ეპარქიის უწყებებში, სხვათა შორის, გამოცხადებული იყო შემდეგი: «№№ სემინარიელი (რომლის კურთხევასაც შუამავლობდა გრაფინია) შეუფერებელი ყოფა-ქცევისა გამო სრულიად დათხოვნილ იქმნა სასულიერო უწყებიდან».

როდესაც ეს ამბავი შეატყობინეს გრაფინიას, იგი ძლიერ გაკვირდა და ვერ მიხვდა, რომ მისი ქება ამ სემინარიელისათვის დამამცირებელი და წინააღმდეგი იყო!..

როდესაც გულდასმით კითხულობ კაცი ზოგიერთ საერო ქურნალ-გაზეთთა მსჯელობას ქრისტეს შობის, მისი აღდგომის, ამაღლების, სულის წმიდის მოსვლის, მოციქულთა ბ მთავარ მოწამეთა დღესასწაულების შესახებ დოღმატიურის მხრით, სწორეთ ამ გრაფინიას სემინარიელისათვის შეამდგომლობა გაგონდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გაზეთების ზოგიერთ თანამშრომლებს განგებ კი არ მოსდით ესეთი შემცდარი მსჯელობა ხსენებულ დღესასწაულების შესახებ, არამედ ეს შეცდომა აიხსნება იმითი, რომ მათ კარგად შესწავლილი არა აქვსთ საღვთის-მეტყველო საგნები და ჩვენი სარწმუნოების დოღმატები. ამ უცოდინარობის გამო იგინი ხშირად სულ სხვა მნიშვნელობას აწერენ ზოგიერთ დღესასწაულებს და თავისებურად განმარტებენ!.. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია ჩვენი ნათქვამის დასამტკიცებლად დავასახელოთ ზოგიერთი საერო ქურნალ-გაზეთების შემცდარი აზრი საეკლესიო დიდ დღესასწაულების შესახებ, ვინაიდგან ამაზე ბაასი ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

ჩვენის მხრით ხსენებული ქურნალ-გაზეთების რედაქციებს ურჩევთ ამ საქმეში მიბაძონ ქურნალ «კვალი»-ს რედაქციის მშვენიერ და გონივრულ საქციელს. ამ ქურნალის რედაქციას საეკლესიო დღესასწაულების აღწერის დროს მოჰყავს საღმრთო წერილის ნამდვილი სიტყვები და ამიტომაც იგი არასოდეს შეცდომაში არ ჩავარდება. შეიძლება მწერალმა მშვენივრად იცოდეს ფელეტონების და მეთაური წერილების შედგენა, მაგრამ ჩვენი ეკლესიის დოღმატების შესახებ, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ერთი «ინჩი»-ც არ იცოდეს.

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საუურადღებოდ.

(წერილი მეშვიდე).

ვისაც ცოტათი მაინც თვალ-ყური უდევნებია ჩვენებური სახალხო სკოლებისათვის, ის უეჭველია შენიშნავდა, რომ რუსული ენის სწავლება, ბევრგან ამ გვარ სკოლებში, უფრო ამ უკანასკნელ დროში, წამების გზაზედ არის დაყენებული. ხშირად გაიგონებთ ბევრს ისეთს უკულმართობას რუსული ენის სწავლების შესახებ, რომელიც არა თუ სპეციალურად მომზადებულ მასწავლებელს, არამედ იმასაც არ ეპატიება, ვისაც პედაგოგიკა თვალითაც არ უნახავს. დღეს იშვიათი მოვლენა არ არის იმისთანა ამბები, რომ ზოგნი, გადაბირების გზაზედ დაყენებული მასწავლებელნი, ჩვენებურს სოფლის ბავშვს სკოლაში შემოსვლის დღიდგანვე რუსულად აწყებინებენ წერა-კითხვას, ზოგი კი ქართული რუსულ წერა-კითხვას ერთსა და იმავე დროს ასწავლიან, ამ უცნაურს ხერხს სწავლებისას, რასაკვირველია, მოჰყვება არა საკვირველი შედეგი—ბავშვი წლის განმავლობაში ვერც სამშობლო ენაზე სწავლობს წერა-კითხვას რიგიანად და მით უფრო ვერც უცხო ენაზე იგებს რასმე—ქართულ სიტყვებს ნახევარს რუსული ასოებით და ნახევარს ქართული ასოებითა სწერს—ბაბილონის არეულობა სწორედ ამასა ჰქვიან. ვინ მოსთვლის ყველა იმ ცუდს შედეგს, რომელიც მოსდევს უცხო ენის უკულმართად სწავლებას. ეს უკულმართობა ესმის ყველას, ვისთვისაც სკოლა არ შეადგენს განყენებით საგანს თანაგრძნობისას, არამედ—საშვილიშვილო, სასისხლ-ხორცო საქმეს, რომლისთვისაც ტანჯვით და ოფლით ნაშოვარს გროშს არ ჰზოგავენ და შვილების ბედს და უბედობას სკოლას არწმუნებენ.

უცხო ენის სწავლებას პირველ დაწყებით სასოფლო სკოლებში, რაც უნდა ბევრი ლონისძიება ვიხმაროთ, დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან—ხშირად ვხედავთ ამისთანა ძაგალითს, რომ ბავშვს, სკოლაში შეძენილი ორიოდე რუსული სიტყვა, რაკი ცხოვრებაში სავარჯიშო მოედანი ვერ უპოვია, მალე დავიწყებია—და მაშასადამე მისთვის უსარგებლოდ შექმნილა. საკვირველიც არ არის მოველოდეთ დიდს და კარგს შედეგს მცირედის მიზნისაგან, თუ ჩვენი მიზანი, ჩვენი ამოცანა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს უცხო ენაზე მარტო თუთიყუშური ყბედობა ვასწავლოთ, რასაც ზოგი მასწავლებელი თავის გამოსაჩენად უკვე ცდილობს, მეტს ვერც შევძენთ მათ, ვინც არის ჩვენი ერის მომავალი. ცხადია, რომ ამ გვარი საქმის გაუგებლობა, მცირე მიზანი, აფუჭებს ყოველგვარ ჭკვიანურ საქმეს. ენის ცოდნის სარგებლობა ბევრს ძალიან ცუდად ესმისთ—უცხო ენის შესწავლის სარგებლობა მდგომარეობს უთავბოლო და უაზრო ყბედობაში კი არა, არამედ ამ ენის აზრის და სულის გაცნობაში. ეს არის უმთავრესი და უპირველესი მიზანი უცხო ენის შესწავლისა; ეს მაღალი მიზანი ისე უნდა იყოს დაყენებული და წარმართული, რომ ამ მიზნისადმი მისაღწევად მიღებული საშუალებანი არაოდეს ულრსს და მატყუარს გზას არ უნდა მიმართავდეს და არც უნდა ეძებდეს უპირატესობას, თავისთვის სხვა ამ გვარიევ მაღალი მიზნის საზიანოდ.

უცხო ენის უდროოდ სწავლების დაწყება აჩერებს ყმაწვილის გონებით გამოფხიზლებას, წესიერს განვითარებას, ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ჩვენი სასალხო სკოლების უფროს განყოფილების მოწაფეები ვერ იჩენენ შესაფერისს გონება-გახსნილობას, განვითარებას. რუსების ცნობილი პედაგოგი უშინსკი ამბობს—ბავშვს რომ უცხო ენის სწავლება დაუწყებინოთ, როდესაც დედა-ენაზე კარგად ვერც კი კითხულობს—განა ეს სწავლის სურვილის დასაწყისშივე მოკვლა არ იქნებაო? ყველა ხალხის წარჩინებული ძველი თუ ახალი პედაგოგები სულ იმ აზრისანი იყვნენ და არიან, რომ ვიდრე უცხო ენის სწავლებას დავაწყებინებდეთ ბავშვს—საჭიროა საფუძვლიანად შევასწავლოთ სამშობლო ენა. დროცა ბავშვი ცოტათი თუ ბევრად გაიმართება სამშობლო ენაში, დედა-ენაზე წერა-კითხვაში, მაშინ შეიძლება ბავშვს უცხო ენის სწავლებაც დავაწყებინოთ—მხოლოდ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე სწავლის გადაცემა უცხო ენის სწავლების დროს ასე უნდა იყოს დაწყებული, რომ ბავშვს ყოველთვის შეეძლოს ჰქონდეს ნამდვილი, ცხადი და სწორი წარმოდგენილობა სასწავლო საგანზე—მხოლოდ ამ ნაირი შეგნებულად შესწავლა რუსული ენისა არა თუ არ აენებს ქართულ ენას, არამედ ძრიელ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვავებას,

სამართლიანად ამბობს ჩვენი ცნობილი, პატივცემული პედაგოგი ი. ს. გოგებაშვილი, რომ ამ რიგზე დაყენებული სწავლება მოზარდ თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებითი ნიჭსაც უვარჯიშებს, რადგანაც ყოველს ნაბიჯზედ უცხო ენას ადარებს დედა-ენასთან და უხსნის მათშორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეცს ნამდვილ მეტყველებას მიანიჭებს» (ძირითადი უკულმ. გოგებაშვილისა გვ. 36).

პირველნი ვარჯიშობანი უცხო ენაზე ყოველთვის უნდა წარმოებდეს ბავშვის მიერ უკვე ცნობილ მასალაზედ, ამიტომ რომ არ დავატანოთ ძალა ბავშვის გონებას, რომ ის ერთსა და იმავე დროს იძულებული არ იქმნას, თავისი ყურადღება დაანაწილოს ორს უცნობ საგანს შუა, რის გამო გამოწვეული სუსტი ყურადღება უშლის ბავშვს სასწავლო მასალის ადვილად და ჩქარად შეთვისებას. აგრეთვე, რომ სწავლების დროს მუდამ მივყვეთ პედაგოგიურს თანდათანობას, იმ პედაგოგიურს კანონს, რომელიც ამბობს, გადადი ცნობიდამ—უცნობზეო—საჭიროა პირველადვე შევასწავლოთ ბავშვს მხოლოდ ის ფორმები უცხო ენისა, რომლის მსგავსი მოიპოვება სამშობლო ენაში. შემდეგში კი, როცა ბავშვი ცოტათ თუ ბევრად შეისწავლის ლექსიკურად საგნების, მოქმედების, თვისებათა და სხვის სახელებს, შეისწავლის უცხო ენაზე წერა-კითხვასაც, შეიძლება მიექცეს მასწავლებლის ყურადღება უცხო ენის სწავლების დროს იმ ფორმებს და წესებსაც, რომლითაც უცხო ენა განირჩევა მშობლიური ენისაგან—აგრეთვე უცხო ენის შესახებ კანონის დადგენის დროსაც შედარებითი მეთოდით, დედა-ენასაც უნდა მიექცეს შესაფერისი ყურადღება. რუსული ენის სწავლება ჩვენ სკოლებში, მაშინ იქნება წარმატებითი გზაზედ დაყენებული, როდესაც ამ საგანს ასწავლიან ბავშვებს თვალსაჩინოდ. კომენსკი ამბობს, რომ სიტყვები უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ საგანთან, ნივთებთან. შეერთებითო, ხმალს აქვს გარედ ქარქაში—ხის გულს—ქერქი, კანიხილს—ნაჭუჭი—ლვინოს ყიდულობენ—გადააქვთ ბოჭკებით, ტიკებით. რა არის სიტყვაო, თუ არა სამოსელი, გარეთი კანი—საგნისა თუ რომელიმე ნივთისაო, მაშასადამე, განაგრძობს კომენსკი, როდესაც და რომელ ენასაც უნდა ვასწავლიდეთ, თითქმის სამშობლო ენის სწავლების დროსაც—კი, აუცილებლად საჭიროა თვალსაჩინოდ ვუჩვენებდეთ შეძლებისა და მოხერხების გვარად ყველა საგნებს, ნივთებს, მოქმედებებს, რომელთა სახელსაც ვასწავლით; აგრეთვე საჭიროა და სასარგებლო, რომ მოწაფეებსაც შეეძლოს გამოხატვა სიტყვებით იმისი, რასაც ისინი ჰხედვენ, ისმენენ, შეეხებიან—ერთის სიტყვით, რომ ენა, რომელსაც ბავშვი სწავლობს, უნდა გაიხსნას, განვითარდეს მუდმივ მეტყველებასთან ერთად. ამ ნაირად, ამბობს კომენსკი, შეიძლება დავადგინოთ ამ ნაირი კანონი—ვისაც როგორ ესმის, გაეგება, იმნაირად ეჩვევა ლაპარაკსაც, მეტყველებასაც—პირიქით ვინც რაზედაც ლაპარაკობს, უნდა კარგად ესმოდეს და გაეგებოდეს კიდეც. არავის ნება არ უნდა მიეცეს ლაპარაკისა იმ საგნის შესახებ, რაც მას არ ესმის, ან არ შეუძლიან გამოთქვას, რადგანაც ვისაც თავისი აზრის გამოთქმა არ შეუძლიან, ის ჰგავს ანდრიანტს, გამოქანდაკებულ სახეს და ვინც ყბედობს უთავბოლოდ, შეუგნებლად—ის თუთიყუშია. ჩვენა ვხედავთ მომავალ თაობას, ადამიანებს და უნდა ვსცდილობდეთ გავზარდოთ ისინი ისე, როგორც სასარგებლოა მომავალი თაობისათვის—ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უცხო ენის სწავლების დროს, განსაკუთრებით პირველ დაწყებით სკოლებში, მუდამ სიტყვა და საგანი, საგანი და სიტყვა ელიან სწორის ნაბიჯით.

ჩვენებურ სოფლის სკოლებში რუსული ენის შესასწავლებლად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თითქმის რამდენიც სკოლაა, იმდენი სხვა და სხვა ხელსამძღვანელოები არსებობს. აქ იპოვით ოლპერის წიგნებს, ბუნაკოვისას, ბარანოვისას, პუტიკოვიჩისას, უშინსკის «родное слово», ეოლოტოვსკისას, შესანიშნავ პედაგოგის შესანიშნავ «კურს»-საც, გოგებაშვილის წიგნსაც და კიდევ სხვას. ერთის სიტყვით მეტი არ იქნება ესთქვათ, რომ, რაც ჩვენსა და რუსულ საყმაწვილო მწერლობაში რუსული ენის შესასწავლად სახელმძღვანელო წიგნები კი მოიპოვება, მოწონებული იყო მთავრობისაგან თუ არა მაინც—და მაშასადამე სასარგებლოა თუ მავნებელი ჩვენებურ სკოლებისათვის, სადაც მთავრობა ვალდებულია ყურადღებას აქცევდეს, როგორც სხვა საგნის, ისე სახელმწიფო ენის რიგიანად შესწავლასაც, ყველას ამ გვარ წიგნებს, ვამბობ, ბაზარი აქვს ჩვენებურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში — და ამას თუ რა შედეგიც მოჰყვება, მგონია, ყველასათვის ცხადი იყოს, არ ვიცით, რამდენად ბრმა უნდა იყოს და უვიცი მასწავლებელი, რომ ბევრ ამ ნაირ წიგნების უვარგისობას ვერ ხედავდეს ჩვენებურ სკოლებში — პირიქით ბევრი ზემოხსენებული სახელმძღვანელოთაგანი ახლა რუსულ სახალხო სკოლებშიდაც არ იხმარება სახელმძღვანელოდ, სასწავლო წიგნად. ასეთი შესარიშნავი პედაგოგის წიგნი, როგორიცაა «русское слово» — უშინსკისა, ისიც ამ ჟამად უარგისად არის ცნობილი რუსულ სახალხო სკოლებში და ჩვენში კი ისეთ სამაგალითო სკოლებშიდაც კი ხმარობენ მას სასწავლო წიგნად, სადაც ვარჯიშობენ და სწავლობენ გაკეთილების მიცემას ახალგაზდა მომავალი სოფლის მასწავლებლები. ჩვენებური სოფლის სკოლის მასწავლებლებში ერთობის, ერთის მიზნისადმი, ერთობილის, შეერთებულის ძალით მისწრაფების მაგივრად, სამწუხაროდ, ამ ჟამად ბაბილონის კოშკის შენებას ვხედავთ — ამისთანა არევ-დარევა, რასაკვირველია მასწავლებლების მიზეზია და არა სხვისი. ჩვენ სკოლებში სახელმწიფო ენის შესასწავლად საჭიროა განსაკუთრებული, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული და პედაგოგიურად შემუშავებული სახელმძღვანელო წიგნი. ამისთანა წიგნი დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ შორს საძებარი არა გვაქვს. დღეს ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა მასწავლებელმა, არა თუ გამოცდილებიდგან, ისეც იცის, რომ «русское слово», შედგენილი ჩვენის პატივცემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის მიერ, არის საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნი რუსული ენის სწავლებისათვის ჩვენს სკოლებში; მხოლოდ ეს წიგნი არის სამოსწავლო მთავრობის მიერ მოწონებული სასწავლებელ წიგნად ჩვენებურ სკოლებში, მიუხედავად ამისა ბევრი ჩვენი სოფლის მასწავლებელი, რომელიც დიდად პასუხის მგებელია, როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების წინაშე, ამ ღირსოვან წიგნს ყურადღებას არ აქცევს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი გოგებაშვილის წიგნი შედგენილია თანახმად სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ გამოცემული სასწავლო გეგმის მოთხოვნილებისა, ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ეს გეგმა, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქმნა ნაშესტნიკის მიერ 13 იანვარს 1881 წელს, წარმოადგენს სოფლის სკოლებისთვის საკანონმდებელო წიგნს, პედაგოგიურად საგულისხმიერს, სადაც რუსული ენის შესახებ მასწავლებელი იპოვის საუკეთესო რჩევას. ეს ხსენებული გეგმა ბევრი მასწავლებლის მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული, მაშასადამე საკანონმდებლო წიგნის უარ ჰყოფა, შეადგენს კანონის დარღვევას და თუ ეს ასეა, როგორი მასწავლებელი უნდა იყოს ის, რომელიც თავის მოწაფეებს უჩვენებს მაგალითს საზოგადო კანონის უარ ყოფისას, დარღვევისას? ეს მკითხველისათვის მიგვინდია.

ლ. ბოცვაძე.

პედაგოგიკის ისტორიიდგან

ბავშვების აღზრდა რომში

(დასასრული ქრისტეს წინა დროის პედაგოგიკის ისტორიისა).

პლუტარხი (50—120 წელს ქრისტეს შემდეგ) შესანიშნავი ნასწავლი პირი იყო. იმან დასწერა თხზულება: «de puerorum educatione» («ბავშვების აღზდა), რომელშიაც აღზრდის შესახებ გაატარა ძველი ბერძნული შეხედულებანი, დამყარებულნი **ზომის** და **ჰარმონიის** იდეალზედ. პლუტარხის აზრით; სამს პირობას აქვს დიდი მნიშვნელობა აღზრდის საქმეში. ეს სამი პირობა არის: **ბუნება, სწავლება** და **ვარჯიშობა.** კაცის ბუნება, მოკლებული განათლების სხივსა, თავის-თავად ბრმაა, — მარტო სწავლება, თუ ბუნებასთან არ არის შეერთებული, არაა საკმარისი, ეინაიდგან მიზანს ვერ მიაღწევს; არც ვარჯიშობაა სრული, თუ მას ხელს არ უწყობენ ბუნება და სწავლება. მიწის შემუშავებისათვის საჭიროა კაი ნიადაგი, კაი მიწის მუშა და კაი თესლი. ესევე ითქმის აღზრდის შესახებ; აქაც კარგმა ნიჭმა კარგი მწერთვნელი უნდა იშოვოს და კაი თესლი — სწავლა მიიღოს. უპატრონოდ დაგდებული მინდორი, თუნდაც ძლიერ კაი ნიადაგის მქონებელი იყოს, გაველანდება. ესრედ ილუპება ნიჭი, ღვთის ანაბარად დატოვებული, მოკლებული მწერთნელსა და კაი სწავლასა.

დედამ თვითონ უნდა აწოვოს შვილსა და ან, თუ თვით ეარ შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, უნდა აღმოარჩიონ

კეთილ-ზნეობიანი ძიძა; ბავშვს აგრეთვე უნდა უშოვნონ კეთილ-ზნეობიანი ამხანაგები. წინაალმდეგ შემთხვევაში ბავშვი გამოვა ზნეობით დაცემული. ბავშვი ადრევე უნდა შეაჩვიონ სადა, მარტივს ცხოვრებას, აარიდონ ფუფუნებას, გულის წყრომას, უნდა შეაყვარონ სიმართლე და შეაძულონ სიცრუე. მშობლებმა უნდა აჩვენონ შვილს კეთილი მაგალითები; მათია მიბაძვით ბავშვი კეთილს შეიყვარებს. ცემა-ტყეპას, წყრომა—გაჯავრებას და მუქარაა არ შეუძლია ბავშვს სიმართლე და სიკეთე შეაყვაროს.

ბეჯითობას სწავლაში ბავშვი შეეჩვევა დარიგებით, ჩაგონებით და არა ცემითა და სასტიკი მოპყრობითა. ცემა და სასტიკობა ბავშვს სრულიად შეაზიზღებს სწავლას და ბეჯითობასა. სხეულის ვარჯიშობანი, გიმნასტიკური მოძრაობანიც ძლიერ კარგია ბავშვის ტანმრთელობისათვის. ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესწავლის შემდეგ ახალ-გაზდობას ფილოსოფიაც უნდა შეასწავლონ. ფილოსოფია გვასწავლის ჩვენ, თუ რა უნდა გვიყვარდეს და რა უნდა გვძულდეს, **რაა ჭეშმარიტება** და რაა სიცრუე;—ის გვასწავლის ჩვენ სიმდაბლეს ბედნიერების დროს. სულის სიმტკიცეს უბედურობის დროს. კაცი ყოველის ღონისძიებით უნდა ცდილობდეს ღვთაებას დაემსგავსოს. ღვთაება ყოველად სრული არსებაა,—მასშიაარ მოითხოვება არც რისხვა და არც შური,—კაცი კი ცოდვილი არსებაა. იმან უნდა შეიგნოს თავისი თავი, გაიცნოს თავისი ხასიათი, და ცდილობდეს შეძლებისა და გვარად ღვთაებას დაემსგავსოს.

მაგრამ არც ფილოსოფიას და არც კერძო პირების სწავლა-მოძღვრებას არ შეეძლო რომი ეხსნა დალუპვისაგან.

თვით „სტოიკების“ სწავლა-მოძღვრების მიმდევარნი არ ცდილობდენ შეეთანხმებიათ სიტყვისთვის საქმე, სტოიკების აზრით, კაცი უნდა ცდილობდეს შეიძინოს სიბრძნე, შეიგნოს ღვთაებრივი და კაცობრივი და თვისი ცხოვრება, კერძო ინტერესები მსოფლიო კანონს, მსოფლიო ჰარმონიას შეუთანხმოს, კაცი გონიერი არსებაა და ამიტომ უგნურობას და თავ-ხედობას უნდა ერიდებოდეს. უმთავრესი მიზანი კაცის სიცოცხლისა არის **კეთილ-სათნოება**; ჯანმრთელობა, სიმდიდრე, დიდება არ შეადგენენ კაცის ბედნიერებას და არიან ჩქარა წარმავალნი: მათი მოხმარება ასეც შეიძლება და ისეც, სასიკეთოთაც და საზარალოდაც. კმაყოფილებაც კაცის ბედნიერებას არ შეადგენს: ის არის ვნებითი და არა მოქმედებითი მდგომარეობა სულისა. როგორც ვნებითი მდგომარეობა სულისა, კმაყოფილება ზნეობითს ენერგიას აძინებს და თითქმის ჰკლავს. კეთილ-სათნოიანი კაცი არ ეძებს არც სიმდიდრე, და არც ქება-დიდებას; იმას თავისს გულში ჯ სულში, თავისს სულიერს ბუნებაში უძევს—ბედნიერება, შინაგანი სიკეთე.

სტოიკების სწავლა-მოძღვრების მიმდევარი იყო ფილოსოფოსი **სენეკა**, კაცი ფრიად განათლებული და ამასთანავე საშინელი პირმოთნე, ფარისეველი. სენეკა თავის დროს საუკეთესო პედაგოგი იყო. **იმას სურდა ახალთაობის გონიერი აღზრდის მეოხებით ზე-აღედგინა** რომის დაცემული საზოგადოებრივი ცხოვრება. აი რასა სწერს თავის დედას სენეკა: «საშინელი სნეულება ჩვენი დროისა—ზნეობითი ხრწნილება შენ არ შეგხებია. შენ თვალებს გიბრმავებდნენ არა ძვირფასი ქვები და სიმდიდრე, არამედ უმაღლესი კაცობრივული სიკეთენი. შენ აღზრდილი იყავი თანახმად ძველის ცხოვრების მკაცრი და კეთილი ჩვეულებისა; ამისათვის შენ არ ბაძვიდი საშიშარს ახალს ცხოვრებას. შენ არა გქონდა რა სასირცხვო შენის ბავშვების წინაშე ისე, როგორც აქვთ სხვა მედიდურ და უსულო ქალებს. კეთილ-სათნოება შეადგენდა შენს **საუკეთესო სამკაულსა**». ცხადად სჩანს აქ მოყვანილი სიტყვებიდგან, თუ როგორ უსაყვედურებს სენეკა მედიდურს და უსულო დედებს, რომელნიც არ სცდილობდნენ შვილები რიგიანად აღეზარდათ.

მაგრამ ამაო იყო ქადაგება და მოძღვრება რომის საუკეთესო მწერლებისა და პედაგოგებისა. ცხოვრება თავის რიგით და წესით მიმდინარეობდა, რაც უფრო და უფრო წინ მიდიოდა გონებითი განვითარება რომისა, მით უფრო და უფრო იხრწნებოდა მისი ზნეობითი ცხოვრება. ისტორიკოსის შლოსერის თანახმად, უნდა ვსთქვათ, რომ ზნეობითი ხრწნილება რომისა როდი იყო შედეგი მისი გონებითის აღყვავებისა. მიზეზი ზნეობითის დაცემისა ქვეყნის სიმდიდრე-ქონების უთანასწოროდ განაწილება იყო. ასეთმა ქონებრივმა უთანასწორობამ ორს დიდ ნაწილად გაჰყო რომის ერი. ერთს ნაწილს სიღატაკის და ულუკმა-პუროობის გამო მუდამ ცრემლი დიოდა იმ დროს, როდესაც მეორე ნაწილი სიმ-

ლიდრის გამო სიცოცხლით სტკბებოდა. ერთს ხველი პურის ლუკმა საჭმელად არ ჰქონდა და მეორე იმავე დროს ათასი და ათი ათასი თუმნობით ხარჯავდა თითო სადილზედ. მდ დრები ეძლევოდნენ ნაყროვანებას, ფუფუნებას და უყვარდათ სხვა და სხვა გასართობნი საშუალებანი. გრძნობიერობა, სხვა და სხვა ენებებთან შეერთებული, მდიდრებს ულოდებდა მადას ახალ-ახალი სიამოვნებისას, სიტკბოებისას. გახშირდენ ბუნების წინააღმდეგნი მოქმედებანი, რომელთ სახელის ხსენებაც კი საირცხოა. საცოდავ ყმებს სასტიკად ეპყრობოდნენ. მათის ხორცით შადრევანში მკოფ თევზებს ჰკვებავდნენ,—მოხუცებული ყმა მიჰყავდათ ერთს კუნძულზედ, რომელიც მდინარე ტიბრის შუა გულში იყო და აქ სტოვებდნენ. უპატრონონოდ და უშემწეოდ დაგდებული მოხუცებული შიმშილით ჰკვდებოდა ამ კუნძულზედ... უმაღლესს წოდებას სარწმუნოება აღარ ჰქონდა,—მხოლოდ მდაბიო ხალხი იყო ერთგული ღმერთებისა. რომის «პანთეონში» იყო შეკრებილი ძველის ქვეყნის კერპები, და რომაელი ერთად თავის კერპებთან სხვა ერის კერპებსაც ხედავდა და ამიტომ გული აცრუება სარწმუნოებაზედ და აღარ სწამდა ღმერთების არსებობა. თვით ქურუმები (жрецы) ერთმანერთს რო შეხვდებოდნენ, შეცინებდნენ იმის ნიშნად, რომ ერთმანერთისთვის ეთქვათ, ხალხს როგორ ვატყუებთო. სარწმუნოების დაცემასთან ერთად გახშირდა საშინელი უსამართლობა; არავინ იყო მოყვარული სიმართლისა და სამართლისა. ქალებმა ხომ სულ დაივიწყეს სვინდისი და პატიოსნება. ერთს ქმარს ქალი არ სჯერდებოდა და ჰყავდა ხშირად ათი, ოცი და ოცდა ათი ქმარი. უკანონოდ შობილების რიცხვი გამრავლდა; ბავშვის ხოცვა და ან სხვის კარზედ მიგდება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ბევრი საშოშიევ უსპობდა ჩასახულ ბავშვს სიცოცხლესა, რომ მშობიარობის დროს ტკივილით თავი არ შეეწუხებია. ცოლ-ქმური კავშირი შეიძულეს, ბავშვებს, ამ მომავალ მოქალაქეებს, ზიზღით უყურებდნენ დედები... ისპობოდა ოჯახობა, საფუძველი სახელმწიფოსი და საზოგადოებისა.—

ამასთანავე ერთად მთელი ერი რომისა მოიცვა უკიდურესის უიმედობის შავმა ღრუბლებმა,—სასოწარკვეთილებამ მისი სული და გული შეხუთა და რაღაც შიშში ჩააგდო. ცრუ მორწმუნეობამ დაიჭირა სარწმუნოების ადგილი,—თუმცა ხალხი ზნეობით იყო დაცემული, მაგრამ მის გულში როდი მომკვდარა შეგნება თვისის ასეთი მდგომარეობის უვარგისობისა,—განათლების, ზე-ადგომის სურვილი კიდევ ბჟუტავდა კაცობრიობაში, მაგრამ ყველა კი დარწმუნებული იყო, რომ კაცობრიობას თავისთავად, თავის საკუთარის ძალებით თავის ხსნა არ შეუძლია, ყველას სჯეროდა, რომ საჭიროა ზე-გარდამო შველა, ზეცით მოსული წინასწარმეტყველი, ამ წინასწარმეტყველს კიდეც მოელოდნენ,—«მესიეების» რიცხვი გამრავლდა; მოელოდნენ შობას არა ჩვეულებრივის ყრმისას (ვირგილი)—ხალხოსნობას თვალი აღმოსავლეთისკენ მიეპყრო; იქიდგან ელოდნენ ახალი მზის გამობრწყინვებას. სწორედ ამ დროს, როდესაც ია ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყო ხალხოსნობა, როდესაც ის მოგვაგონებდა მდიდრად მორთულ კუბოში ჩადებულ კაცის უსულო გვამსა და ლეშსა, მინდორზედ არწივების საჭმელად დაგდებულს, დეკემბრის ოც-და-ოთხს ბეთლემში მთვარიანს ღამეში გაისმა ცაში სანატრელი ხმა ანგელოზებისა «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება». ამ ხმამ ახარა ქვეყანას დაბადება ცით მოვლენილის წინასწარმეტყველისა, რომელსაც უნდა ძირეულად შეეცვალა კაცობრიობის ცხოვრება და დაემყარებია ის ახალს საფუძველზედ. აღმოსავლეთში გამოჩენილმა არაჩვეულებრივმა ვარსკვლავმა წარმართების მოგვებს ახარა იესოს დაბადება. წარმართობამ მას თაყვანი სცა თვისის წარმომადგენლების, მოგვების პირით.

იშვა ძე ღვთისა Iესო, და დადგა ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებისა. ძველი აღთქმის ბნელი რწმუნება ახალი აღთქმის ახალ განმაცხოველებელ რწმუნებად შეიცვალა. შეიცვალა აგრეთვე ბავშვების აზღრდის საქმეც ქრისტიანობის ზედ-გავლენის ქვეშე.

იდ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება).

ახალი მსხვერპლი მატყუარა სოფლის ექიმისა.

(წერილი ღორეშიდამ).

თუმცა ამ ცოტა ხანში ბევრნაირ ბოროტებას მოელო ბოლო, მაკრამ ბევრის მოსპობა კი ჯერეთ დიდს მხნეობასა და მეცადინეობას თხოულობს მთავრობის მხრით. ამ სამოოდე წლის წინეთ ზემო იმერეთში გავრცელებული იყო ყაჩაღობა, ოჯახების აკლება-აწიოკება და ხშირათ კაცის კვლაც. ამ საზიზღარმა საქმემ პირველათ ხარაგაულის საბოქაულოში იჩინა თავი და, რადგან მაშინდელმა ამ კუთხის ბოქაულმა (რომელსაც ავკაცობის მიზეზათ სილარიბე მიაჩნდა და არა თანშობილი ბიდრეკილება ზოგიერთა ვაჟბატონებისა ავ-კაცობისადმი) დიდი გულკეთილობა გამოიჩინა ბოროტი კაცების შესახებ, ამიტომ ყიჩაღობა თითქმის ყოველ-დღიურ მოვლენათ შეიქმნა მთელს ზემო იმერეთში. სულ სხვა გზას დაადგა ახალი ბოქაული ბ. წ-ლი და დღეს თუმც ჩვენ კუთხეზე არც ის ითქმის, რომ თხა და მგელი ერთათ სძოვდეს, მაგრამ აღარც ისეთ ბარბაროსობას ვხედავთ, როგორსაც ამ ორიოდე წლის წინეთ დღე მუდამ ვხედავდით. ამ ნაირათ თუმცა ერთნაირი ბოროტი კაცები ითოკებიან, სამაგიეროთ მეორენი, სოფლის მატყუარა ექიმები კი, პირ-იქით, აძლიერებენ თავის უმეცარი ხალხისათვის დამლუპველ მოქმედებას. ერთმა ღმერთმა იცის, რამოდენი კაცი უდროოდ გამოუთხოვებიათ წუთი სოფლისათვის ამ სულზე ხელაღებულებს. საუბედუროთ, ნასწავლი ექიმები და აფთიაქები ერთობ ხელმიუწვდენელი არიან სოფლის ღარიბი ხალხისათვის. ხშირათ ერთი აბაზის წამლის გამოსაწერათ ექიმს ერთი მანეთი უნდა მისცეს კაცმა და სოფელში ექიმის წაყვანას ხომ ასში ერთი ვერ შეიძლებს. ამიტომ გულდათუთქული ავადმყოფის პატრონი ისევ სოფლის ექიმს ეტანება, რომლის წამალიც ავადმყოფს არა თუ უხდება, ხშირათ ვნებასაც აძლევს. საკვალალო ის უფროა, რომ სოფელში ხშირათ ისეთი ადამიანი, რომელმაც თავისი პირის რიგიანათ დაბანაც კი არ იცის, ყოველნაირი ავადმყოფის მოარჩენას კისრულობს, თუმცა წამალს ყველას ერთნაირს აძლევს. მე ვიცნობდი ერთს მოხუც დედა-კაცს, რომელიც დღეში ათ-თორმეტ ბოთლ შაქრით დამტკბარსა და რაღაც საკაზმებით გაკეთილ-სუნნელებულ წყალს მაინც გაასაღებდა, სულ თითო მანეთად ბოთლს. „თინათინმა მეტასმეტი ტკბილი და კარგი ბარგის წამლების შემხადებია იციაო“,—ამბობდენ სოფლელები და თინათინიც ყველას ტკბილ წამალს აძლევდა. ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ თინათინის წამალი, თუმცა არავის რგებდა, არც ვნებას აძლევდა. საუბედუროთ, ამას ვერ ვიტყვით გამოჩენილ ხირურგ ე. ვაშაძეზე, რომელმაც საიქიოს გაამგზავრა თომა ორჯონიკიძე. აი როგორ მოხდა ეს:

შემდეგ სკოლაში წერა-კითხვის შესწავლისა, თომა ჭიათურაში დადგა პრიკაზჩიკათ და აგერ სამი წელიწადია თვეში 15—20 მანეთი შემოქონდა და მოხუც მშობლებს ასაზრდოებდა. ამას წინეთ თომა ჭიათურიდამ ღორეშაში წამოსულა, გზაზე შესცივნია და ყბებს ქვეშ რაღაც ჯირყვლები გასჩენია. მშობლებს ორიოდე ბოთლი ტკბილი წამალი დაულევნებიათ, მაგრამ ჯირყვლები არ გამქრალა. რადგან ტანში ტკივილს არას გრძნობდა, მალე ისევ ჭიათურაში დაბრუნდა თომა. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მას შეხვედროდა ჭიათურაში ვილაც ვაშაძე, რომელსაც, დაენახა რა თომასთვის ჩამოსივებული ყბები, ეკითხა: რაზედ გაგიჩდა ეგ ჯირყვლები. პასუხის მიღების შემდეგ ვაშაძეს გამოეცხადებია ორჯონიკიძისათვის, რომ ეგ უბრალო ჯირყვლები კი არა, დურბელია და ჩემი ხელობაც მაგის ექიმობა არისო. შეეცდინა საწყალი ახალგაზდა კაცი და წაეყვანა საექიმოდ სოფელ რგანში. ხუთი მანეთი გამოერთმია, თუთხმეტი მანეთის მიცემაზე ბარათი ჩამოერთმია და დაეწყო ექიმობა. დაესერა ტკივანი ადგილები, წაესო ზედ რაღაც ვაზელინის მსგავსი წამალი და ეთხრობია: ამ წამალში რამოდენიმე ნაწილი მარდიმუში ურევია და ის თვისება აქვს, რომ ჯირყვლებს ძირიანად ამოყრისო. ამის შემდეგ თომა სოფელს სვერში წამოსულა თავის ბიძა ჯიბო წერეთელთან და გზაზედ რაღაც სისუსტე უგრძნია. ორი დღის განმავალობაში მთლად გასივებია კისერი, მკერდი და ფეხებიც, ხოლო იმ ადგილზე, სადაც ექიმს წამალი წაესო, გასჩენოდა ეებერთელა იარა. ცოცხალმკვდარი თომა მამამ 31 იანვარს ღორეშაში ჩამოიყვანა და ორ თებერვალს, დილით საცოდავმა დიდ ტანჯვაში სული განუტევა. მიცვალებული, როგორც

მნახველები ამბობენ, მალე ნახშირივით გამაედა სახსრებში დაიხსნა, დაწბოლდა და საშინელი ცუდი სუნი ასდინდა, თუმცა იმ ხანად ჩვენში 4—5 გრადუსი სიცივე იყო. მიცვალებულის მამას ექიმისათვის საჩივრის განცხადება უნდოდა, მაგრამ შეშინდა მიცვალებულს გამიწვალებენ და სხვა არაფერი გამოდნებაო. ამიტომ ამ საქმით გულნატკენი ჩემ გულის ტკივილს მკითხველ საზოგადოებას უზიარებ იმ იმედით, რომ, თუ ასეთი ბოროტება თვით მთავრობამ არ მოსპო, ეგების ამ სარწმუნო ამბავმა ზოგიერთები მაინც მოარიდოს სოფლის მატყუარა ექიმებს.

ს. ჭ—ძე.

ჩემი სურვილი.

მსურს შესუსტდეს დაწყეველილი
ძალა უსამართლობისა
და დამყარდეს ქვეყნად ხანა
სათნოების, მშვიდობისა,
რომ კაცს გზასა უნათებდეს
სხივი ჭეშმარიტებისა,
ამშვენებდეს წმიდა მცნება
ძმობისა და ერთობისა,
რომ სუსტი ძლიერისგან
აღარ დაიჩაგრებოდეს,
ნაყრდებოდეს ლომი ცხვართან
და ბატკანიც მგელთან ძოვდეს.
მსურს, შესწყდეს ხმა თოფ-ზარბაზნის,
გულის მგმერი, შემაწუხი,
ხალხთსნობამ შეიძულოს
ომი, ხმლისა ჩახა-ჩუხი,
რომ ძმა ძმის სისხლს აღარ ღვრიდეს,
როგორც მხეცის სისხლს ღვრის მხეცი,
და სტკბებოდეს მშვიდობისა
ნაყოფითა კაცად კაცი.
მსურს, აღყვავდეს ჩვენის შრომით
საყვარელი ჩვენი მხარე,
და უმღერდენ უკვდავების
ომას ნანას მზე და მთვარე.

ილ. ჩხერიმელისპირელი.

***

(რუსულიდგან ლ. ფ. ტ—კოსი).

ლათინური და ბერძნული
მაწვალებდენ მე ათ წელსა;
გამუდმებულ ბეჯითობამ
დამამსგავსა ნაფოტ ხმელსა.

ეხლაც კიდევ, გეფიცებით,
შემაკივნებს, გამმაჭროლებს,
რა ვიგონებ ციცერონსა,
ჰომიროზის «გეკზამეტრებს».

ბევრს ღამეს არ მძინებია,
ვზეპიროობდი უცხო ლექსებს,—
ესრე ტანჯვით ვატარებდი
შაგირდობის ჩემსა დღეებს.

მართალია, დავიტანჯე,
ბევრჯელ ვწყევლე ჩემი ბედი,
მაგრამ მაინც მშვენიერი
მე «კლასიკი» გამოვედი.

გამოვტყდები, ძლიერ სუსტად
მე რუსული ენა ვიცი,
ლათინური კი—მშვენივრად;
ამას აღარ უნდა ფიცი.

დაე, ჩემი საუბარი
ნუ იქნება დაწყობილი,
მაგრამ მთელი «ილიადა»
ზეპირად მაქვს დასწავლილი.

ცხოვრებაში შევდგი ფეხი
დასუსტებულ სხეულითა,—
თან მრცხვენია, რომ დავდივარ
ცარიელი მე თავითა...

ამისდა მიუხედავად
—და ეშმაკის საცინელად,—
პედაგოგთა «მწიფედ» მიცვნეს
სულიერად, ხორციელად.

ილ. ჩხერიმელ[illegible]ს-პირელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ოფიციალურად გამოცხადებულია: **ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩი 8 აპრილს დაინიშნა გესენის პრინცესა ალისაზე.**

გერმანიის, ავსტრიის და ინგლისის გაზეთები სიხარულით ეგებებიან მემკვიდრე ცესარევიჩის პრინცესა ალისაზე დანიშვნას.

—

როგორც ისმის, უწმიდეს სინოდს განკარგულება მოუსდენია, რომ ყველა მამათა და დედათა მონასტრებთან დაარსებულ იქმნეს სკოლები გლეხის შვილებისათვის.

სასურველია, რომ ეს მშვენიერი განკარგულება უწმიდესის სინოდისა მალე მოვიდეს სისრულეში. ძველ დროში ყველა ჩვენ მონასტრებთან არსებობდნენ სკოლები, სადაც მონასტრის ახლო-მახლო მცხოვრებთა შვილები სწავლობდნენ წერა-კითხვას, საეკლესიო წიგნების კითხვას და გალობას.

—

ამ ცოტა ხანში, როგორც რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, ფინანსთა მინისტრი აპირებს აზრი შეიტანოს სახელმწიფო რჩევაში, რომ შემცირებულ იქმნეს სახელმწიფო გადასახადი, რომელიც დადებულია რკინის გზით მიმომსვლელთა ბილეთებზე.

—

1896 წლისათვის მსოფლიო გამოფენის გამართვას აპირებენ რუსეთის ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში. ამ გამოფენისათვის ნაანგარიშევი აქვსთ ხარჯი 4,321,000 მანეთი.

—

1892 წლის განმავლობაში ოც-და-ორმეტ-ჯერ დასწეს ქაღალდის ფულები. სულ დასწეს 122,197,587 ფურცელი 583,690,982 მანათისა. ყალბი ქაღალდის ფული პირველი იანვრისათვის 1892 წ. ინახებოდა ბანკში 12,158 ფურცელი, 129,086 მანეთისა. წლის განმავლობაში კიდევ შემოვიდა 1,174 ფურცელი, 9.941 მანეთისა; იმათგან დაიწვა 3,682 ფურცელი, 39,379 მანეთისა; დარჩა პირველი იანვრისათვის 1893 წ. 9,938 ფურცელი, 103,744 მანეთისა. სულ ყალბი ქაღალდის ფულების ხმარებაში შემოსულისა 1 იანვრამდე 1893 წ. შემომოსულა 168,814 ფურცელი, 1,542,155 მან.; აქედგან დაიწვა 131,664 ფურცელი, 1,207,141 მანეთისა, 27,212 ფურცელი, 231,270 მან. იმექონებიან გამოძიების საქმეებში და 8,838 ფურცელი, 103,744 მანეთისა ინახება ბანკში.

—

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში საღმრთო სჯულის მაყოველებლად დანიშნულ იქმნა ელადიკავკავის საკრებულო ტაძრის მღვდელი ღვთის მეტყველების კანდიდატი მ. ი. ტუკარინოვი.

—

26 აპრილს ქუთაისში სამხედრო სამსაჯულომ გაარჩია სოფელ ოფიშკვითის მცხოვრების თავადის ანღრია ზ. ნიჟარაძის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა მუხიანის რკინის გზის სადგურის უფროსის დაჭრა. სამსაჯულომ ბრალდებულს ნიჟარაძეს გარდაუწყვიტა ჩამოხჩობა, მაგრამ ზოგიერთ პატივ სადებ მიზეზთა გამო სამსაჯულომ იშუამდგომლა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ ბრალდებულს ეს სასჯელი შემცირებოდა. მთავარ-მართებელმა შეიწყნარა სამსაჯულოს შუამდგომლობა და დამნაშავეს დახრჩობის მაგიერ გადაუწყვიტა 15 წლით კატორგაში გაგზავნა.

—

1888 წლიდგან თბილისში გამოდის გაზეთი «მეურნე». ეს გაზეთი დღემდე სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. დღეს ამ გაზეთში ბ. ილია ჭყონიას მეთაურობით მონაწილეობას იღებენ: აგრონომები, ტექნიკოსი, ექიმები და მეფუტკრეობის მცოდნე პირნი. ამ თანამშრომლების შემდეგ ამ გაზეთს სიცოცხლე მოემატა და საინტერესო საკითხავიც შეიქნა თავისი შინაარსით. ბ-ნი ი. მ. ჭყონია ცდილობს, რომ ამ გაზეთის ბეჭდვა გადმოიტანოს ქ. ქუთაისში და ამის შესახებ მას თხოვნაც მიუცია უ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. იმედია ბ. ჭყონია ამ ნება-რთვას მიიღებს და ამით მას შეძლება მიეცემა მომატებული ყურადღება მიაქციოს ამ გაზეთის შინაარსის განკარგვას.

თუ რამდენად საჭიროა სამეურნეო ცოდნის

გავრცელება ჩვენ ლარიბ ქვეყანაში, ეს, ვგონებ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ამიტომ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სამღვდელოება, რომელიც ახლო დგას ხალხთან, დახმარებას აღმოუჩენს ბ. ჭყონიას მის კეთილს და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში. სამღვდელოებას ამ გაზეთის შემწეობით შეუძლია სამრევლოებში გაავრცელოს სხვა და სხვა სამეურნეო და საჰიგიენო ცოდნა, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს მხარეს.

—

მოახლოვდა მაისი და შეიქნა ჩვენს დალოცეილს ქუთაისში გაცხარებული ფაცი-ფუცი ვექილობების და კენჭების მოპოვებისათვის. გასაკვირველი და დროის ნიშანი ის არის, რომ ამ ჟამად უფრო მეტად ფაცურობენ ტფილისელების აგენტები ქუთაისში, ვიდრე ქუთათურ მოღვაწეთა დანდობილნი. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ერთი ტფილისელი მოღვაწის აგენტებმა ქუთაისის მაესხებლები, რომელთაც მამული ბაკში აქვთ დაგირავებული, მეტის-მეტად შეაწუხეს ლიტინით, რომ ვექილობა მოგვეცითო, თორემ საქართველოს დალუპვაში თქვენც ბრალი დაგედებათო. და სხვ... ნამდვილად ვიცით ისიც, რომ ზოგან კიდეც გაუჭრია მათს მჭევრმეტყველებას. ამასთან ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით ისიც მოვიხსენიოთ, რომ არც ერთი ზემორე ხსენებული აგენტები თ. ი. მაჩაბლის არ ყოფილა, რასაც მოწმობს «ივერიის» მჭევრმეტყველური დუმილიც ქუთაისიდან ვექილობების გაზიდვის შესახებ.

—

სოფლის საწაბლის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელი მ. დავით გველესიანისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი.

მ. რ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მხრით ჩემდამო რწმუნებულის საწაბლის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მრევლთა: დ. ყვირილაში მცხოვრებს გედევან ზურაბის ძეს ჩუბინიძეს, რომელმაც ზემოხსენებულს ეკლესიას შემოსწირა ზარა, ღირებული 50 მან., კოსტანტინე თეიმურაზის ძეს კუპაძეს, რომელმაც შემოსწირა კანკელი, ღირებული 83 მ. 40 კ. და ალექსი როსტომის ძეს ჩაჩანიძეს, რომელმაც შემოსწირა 8 მანეთის ღირებული მანდალი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

მე წავიკითხე თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემსი»-ს მე-2 №-ში, რომ თქვენ გთხოვენ შუაგულ სიბირიდან «მწყემსი»-ს გაგზავნას და თქვენ გაზეთთან წიგნებსაც უგზავნით და გამომცემლებსაც აუწყებთ, რომ ნუ დაიშურებენ თავიანთ გამოცემას. ჩვენის მხრით უცხადებთ იმ ქართველებს, რომელნიც შუაგულ სიბირიდან ქართულ წიგნებს თხოულობენ და მათთან ყველა იმ სტუდენტებს, რომლებსაც ბიბლიოთეკები აქვსთ უნივერსიტეტებში და აკადემიებში, ყველას გაუგზავნი ჩემგან გამოცემულ წიგნებს უფასოდ, თუ რომ ისინი ადრესის მოწერისათანვე იკისრებენ ფოსტის ხარჯს.

ბ. თავართქილაძე.

ოზურგეთი,
თებერვლის 5-ს 1894 წ.

ԿԷՂԿՃԷՀԱՂՆ ԵՒԱՎԷՒՆ.

Ա ՀԱՏՈՒՄ.

Է տպագրեալ Կղզեւորդեկդ ծղեղոտեալքեղեղոտաւք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Ա.

Բ — Կղզեւորդեկդ ղաքեւորդղոտաւեք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Ծ.

ԿԳ — Կղզեւորդեկդ եաշեւտեղոտաւեք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Ն.

ԿԿ — Կղզեւորդեկդ ղեւծեք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Բ.

ԿԴ — Է ծ ա տ ղ ղ ա ք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Շաւեք.

ԿԵ — Կղզեւորդեկդ ոծեշաքաք ծաշաքաք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Ն.

Ն ՊՐԻՒՆ.

Պ — Եպտու ոծեշեւ շաեղրոք.
Եբրահիմա Իսրայելեանց Շաւեք.

განცხადებანი.

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

გუნების ბარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იასენანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითადი უკუღმართოება, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—3)

შინაარსი: ქრისტეს აღდგომისა გამო.—ზოგიერთ საერო ჟურნალ-გაზეთების უნებლიეთ შეცდომათა გამო.—სურათი აღდგომისა.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ—პედაგოგიის ისტორიიდამ.—ახალი მსხვერპლი მატუუარა სოფლის ექიმისა.—ლექსნი.—ახალი.—ამბები და შენიშვნები.—საკალენდარო ცნობანი.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 29 Апрѣля 1894 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.